

# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

## საქართველო

### რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი I

კრედიტის ნომერი: №4516 GE (დამატებითი დაფინანსება)

## სატრანსპორტო ხიდის მშენებლობა მდ. მტკვარზე ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელთან

IDA/RMIDPI/CW/NCB/58

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის №729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველოში მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი (დამატებითი დაფინანსება) გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: სატრანსპორტო ხიდის მშენებლობა მდ. მტკვარზე ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელთან (კონტრაქტის № IDA/RMIDPI/CW/NCB/58).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს მდ. მტკვარზე ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელთან სატრანსპორტო ხიდის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად. საპროექტო ხიდი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქარელის მუნიციპალიტეტში მდ. მტკვარზე, თბილისიდან 100 კმ მანძილზე. საპროექტო ხიდის საშაულებით სოფ. ახალსოფელი უმოკლესი გზით დაუკავშირდება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საატომობილო გზის მაგისტრალს, რითაც მისასვლელი გზა მაგისტრალიდან ახალსოფელამდე შემცირდება 3 კმ-მდე.

სახიდე გადასასვლელი შედგება ხიდის, მისასვლელი გზებისა და სარეგულაციო ნაგებობებისაგან.

საპროექტო ხიდი რვამალიანია, სქემით 8×18.0მ, ხიდის საერთო სიგრძეა 151.65 მ, ხოლო გაბარიტი Γ - 6.0+2X1.0მ და განკუთვნილია ორი სამოძრაო ზოლის პირობებში A11 და HK80 დროებითი მოძრავი დატვირთვების გასატარებლად.

ძირითადი სამუშაოების მოცულობები:

- გრუნტის დამუშავება – 28014.0 მ<sup>3</sup>;
- გრუნტის უკუჩაყრა და ხარისხოვანი ყრილების მოწყობა – 20961.0 მ<sup>3</sup>;
- ბურჯებისათვის ჭაურების ბურღვა – 437.3 მ<sup>3</sup>;
- ხიმინჯების მოწყობა – 490.5 მ<sup>3</sup>;
- მონოლითური ბეტონი და რკ/ბეტონი – 1066.8 მ<sup>3</sup>;
- ლითონკონსტრუქციების და მოწყობილობების მონტაჟი – 158.7 ტ.
- მალის ნაშენის მონტაჟი – 40 ცალი, თითოეული წონით 17.6 ტ

სამუშაოების ხანგრძლივობაა 5 თვე.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში“ აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის

მომსახურების ხარვეზი (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. №2, თბილისი, საქართველო**

**ბანკის კოდი: 220 101 757**

**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 107 444 116 99 (ქართული ლარი)**

**დოლარის ჩარიცხვის შემთხვევაში:**

**Beneficiary Bank: Bank "Republic", Tbilisi, Georgia, C/A: 00195464, SWIFT Code: REPLGE22. Intermediary Bank: Societe Generale, N.Y., USA, SWIFT Code: SOGE US33**

**A/N: 107 444 116 99**

**ევროს ჩარიცხვის შემთხვევაში:**

**Beneficiary Bank: Bank "Republic", Tbilisi, Georgia, C/A: 001019083750, SWIFT Code: REPLGE22. Intermediary Bank: Societe Generale, PARIS, France, SWIFT Code: SOGE FR**

**PP**

**A/N: 107 444 116 99**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ **4,1** მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს **0,35** მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2010 წლის 30 ივლისის **11:00** საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს **41, 000** ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირის თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ პირადად დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2010 წლის 30 ივლისს **11:00** საათზე.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, აღმასრულებელი დირექტორი**

მისამართი: ოთახი 405, მეოთხე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150,

თბილისი 0112, საქართველო,

ტელ: +995-32-48-45-09/10/11/15

ელ. ფოსტა: [procurement@mdf.org.ge](mailto:procurement@mdf.org.ge)